წევრობის კანდიდატის ხელშეკრულება

ქ. თბილისი, 31 March, 2026 წ.

ხელშეკრულება იდება ერთი მხრივ, ა(ა)იპ ასოციაცია „ბუნებრივი ღვინო“-ს (ს.ნ.416333248), (შემდგომში - ასოციაცია) და მეორე მხრივ, ასოციაციის წევრობის კანდიდატს _____ (ფიზიკური/იურიდიული პირის ტიპი და დასახელება) (ს.ნ./პ.ნ._____), (შემდგომში - წევრობის კანდიდატი) შორის.

ასოციაციას წარმოადგენს მისი დირექტორი, ზურაბ მღვდლიაშვილი, ხოლო წევრობის კანდიდატს წარმოადგენს მისი _____ (პოზიცია)_____ (სახელი და გვარი).

წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, წევრობის კანდიდატი იზიარებს ასოციაციის მიზანს ხელი შეუწყოს ბუნებრივი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას საქართველოში და წევრად მიღების შემთხვევაში იღებს ვალდებულებას დაიცვას ასოციაციის წევრობის ხელშეკრულებაში (დანართი 1) განსაზღვრული ძირითადი პრინციპები და მიმართულებები.

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების მიზანი

წინამდებარე ხელშეკრულების მიზანია, ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს წევრობის კანდიდატის ასოციაციაში გაწევრიანების წინაპირობები.

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2. ასოციაციაში გაწევრიანების ინიცირება შეუძლია ნებისმიერ კანდიდატ მარანს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

2.1 გაცნობილია ასოციაციის წევრობის ხელშეკრულებას (დანართი 1) და პასუხისმგებლობას იღებს დაიცვას აღნიშნულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების წესები.

2.2 სრულყოფილად აქვს შევსებული წევრობასთან დაკავშირებით ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული განაცხადი (დანართი 2) და იანვრიდან მარტის ბოლომდე პერიოდში გაგზავნილი აქვს ასოციაციის ელ. ფოსტაზე: info@nwa.ge. (მარტის შემდგომ გაგზავნილი განაცხადი განხილულ იქნება მომდევნო წელს).

2.3 ზემოთხსენებულ განაცხადთან ერთად, წარმოდგენილი აქვს ასოციაციის მინიმუმ 3 წევრის რეკომენდაცია. აუცილებელია, რომ რეკომენდატორი წევრები ნამყოფები იყვნენ კანდიდატის ვენახ(ებ)სა და მარანში და იცნობდნენ კანდიდატის ვენახ(ებ)ის მოვლისა და ღვინის დაყენების პრაქტიკას.

2.4 ზემოთხსენებული განაცხადისა და რეკომენდაციების გარდა, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, სადაც იგი აღწერს თუ რატომ სურს ასოციაციაში გაწევრიანება და რა მოლოდინები აქვს მისგან.

2.5 საკუთრებაში აქვს სულ მცირე 1000 (ათასი) კვ.მ. მსხმოიარე ვენახი და მარანი, რაც უნდა დასტურდებოდეს მის მიერ წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტებით - ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან. (დასაშვებია მშობლების, დედმამიშვილების, მეუღლის, ან/და შვილების სახელზე გაფორმებული მარნის და ვენახის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთ შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საკუთრების მფლობელი პირის თანხმობა ასოციაციაში გაწევრიანებაზე). საკუთრების დოკუმენტი განაცხადის შეტანამდე სულ მცირე 1 წლით ადრე უნდა იყოს რეგისტრირებული.

2.6 არ ფლობს კონვენციურ ვენახს და მარანს, რომელიც მოიცავს ნებისმიერ იმ ვენახსა და მარანს, რომლის მოვლაც არ იწარმოება ასოციაციის წესების შესაბამისად.

2.7 გადახდილი აქვს ასოციაციის კანდიდატის საწევრო გადასახადის პირველადი შენატანი არა უგვიანეს 1 აპრილამდე.

მუხლი 3 . კანდიდატის საწევრო გადასახადი

3.1 საწევრო გადასახადის დაანგარიშება ხდება ვენახ(ებ)ის ზომის მიხედვით. ვენახში ითვლება ნებისმიერი ვენახი, საიდანაც მარანი ღვინოს აყენებს და ყიდის. ეს მოიცავს როგორც კერძო საკუთრებაში, ასევე იჯარით ან სხვა ფორმით სარგებლობაში არსებულ ვენახებს, მათ შორის, ყურძნის ყიდვის შემთხვევაში - შესაბამის ვენახებსაც.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი არის 30 000 (ოცდაათი ათასი) მ2 და ნაკლები ფართობის ვენახ(ებ)ის მფლობელი, ასოციაციის ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს პირველადი შენატანი 300 ლარი.

3.3 იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის ვენახები მნიშვნელოვნად არის ერთმანეთისგან დაშორებული (იგულისხმება ერთი რეგიონიდან მეორე რეგიონში არსებული ვენახი (ები) და მარანი), კანდიდატს დამატებით ეკისრება ხარჯის ვალდებულება თითო რეგიონზე 300 ლარის ოდენობით.

3.4 ასოციაციაში გასაწევრიანებლად გათვალისწინებული ინსპექტირების პროცედურების ჩატარების შემდეგ, ასოციაციისგან კანდიდატის წევრად მიღებაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, კანდიდატმა, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა გადაიხადოს ასოციაციის წლიური საწევრო გადასახადი, რომელიც 30 000 (ოცდაათი ათასი) მ2 და ნაკლები ვენახის ფართობზე შეადგენს საბაზისო 400 ლარს, ხოლო მეტი ფართობის შემთხვევაში ყოველ 1 ჰექტარზე დამატებით 100 ლარს.

მუხლი 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1 ასოციაცია უფლებამოსილია:

4.1.1 ხელშეკრულების 2.2 მუხლის შესაბამისად შევსებული განაცხადის მიღებიდან 2 (ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატის ფლობისას - 1) კალენდარული წლის განმავლობაში განახორციელოს კანდიდატის ვენახ(ებ)ისა და მარნის როგორც დაგეგმილი, ასევე დაუგეგმავი ინსპექტირება.

4.1.2 კანდიდატის ვენახ(ებ)ისა და მარნის ინსპექტირებისას ასოციაციის წესებთან შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი არ მიიღოს ასოციაციის წევრად. აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების პირველივე წელს.

4.1.3 ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კანდიდატთან შეთანხმება თუ კი რაიმე მიზეზით მისი გაწევრიანების წინააღმდეგია ასოციაციის დამფუძნებელ წევრთა ნახევარზე მეტი.

4.2 ასოციაცია ვალდებულია:

4.2.1 კანდიდატის განაცხადის მიღების შემდეგ, ერთი თვის ვადაში გადაწყვიტოს შეარჩევს თუ არა წევრობის კანდიდატს ინსპექტირებისათვის და აცნობოს მას ამის შესახებ.

შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის:

- რეკომენდატორების ვინაობა და რაოდენობა;
- საკუთარი ვენახის გარდა, სხვა ვენახის ყურძნის შესყიდვის პრაქტიკა;

ასოციაცია ბუნებრივი ღვინო – ვებ გვერდი www.nwa.ge ელ ფოსტა info@nwa.ge მობ +995 555 70 88 81

4.2.2. შერჩეულ კანდიდატთან დაგეგმოს ვენახ(ებ)ისა და მარნის პირველადი ინსპექტირება. გარდა 4.2.4. პარაგრაფში აღნიშნული გამონაკლისისა, ინსპექტირების სრული პროცედურა გრძელდება 2 კალენდარული წლის განმავლობაში და მოიცავს მინიმუმ 2 დაგეგმილ ვიზიტს ვენახ(ებ)სა და მარანში. ასოციაცია დაგეგმილი ვიზიტების შესახებ ინფორმაციას კანდიდატს აწვდის ვიზიტამდე მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე.

4.2.3. 2-წლიანი ინსპექტირების პროცედურის დასრულების შემდგომ მოამზადოს ანგარიში კანდიდატის შესახებ, რომელიც გადაეცემა ასოციაციის დამფუძნებლებს კანდიდატის ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

4.2.4. პარაგრაფებში 4.2.2. და 4.2.3. აღნიშნული 2-წლიანი ინსპექტირების ვადა არ ეხებათ კანდიდატებს, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიცირების ორგანოს (მაგ. კავკასსერტის) მიერ შესაბამის წელს გაცემული სერტიფიკატი. ნაცვლად ამისა, მათ უტარდებათ 1-წლიანი სავალდებულო ინსპექტირება და წევრად მიღების შემთხვევაში - დამატებით 2-წლიანი სავალდებულო ინსპექტირება, ისევე, როგორც ყველა ახალ წევრს.

4.3 კანდიდატი უფლებამოსილია:

4.3.1 მიიღოს ინფორმაცია ინსპექტირების დაგეგმილი ვიზიტის შესახებ 5 სამუშაო დღით ადრე.

4.3.2 წელიწადში ერთხელ, საპატიო მიზეზით უარი თქვას ინსპექტირების ჯგუფის ვიზიტზე. ერთი კალენდარული წლის განმავლობაში კანდიდატის მხრიდან ინსპექტირების ვიზიტზე ორი უარი ჩაითვლება ამ შეთანხმების ცალმხრივ შეწყვეტად.

4.4. კანდიდატი ვალდებულია:

4.4.1 წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, აწარმოოს ვენახ(ებ)ის მოვლის ჩანაწერები, რომელიც უნდა მოიცავდეს ვენახში ჩატარებულ ყველა სამუშაოს თაობაზე ინფორმაციას (მათ შორის: გასხვლა, მოხვნა, კულტივაცია, გაფურჩვნა, შეწამვლა და ა.შ.), ასევე - გამოყენებული პრეპარატებისა და დოზების შესახებ ინფორმაციას.

4.4.2 დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებისა და ასოციაციის წევრობის ხელშეკრულების პირობები და უზრუნველყოს ვენახ(ებ)ისა და მარნის მოვლა და ღვინის დაყენება აღნიშნულ ხელშეკრულებებში დაწესებული წესების შესაბამისად.

მუხლი 5. ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ძალაშია ასოციაციის დამფუძნებელთა კრების საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

მუხლი 6. ხელშეკრულების დამატებითი პირობები და დანართები

6.1 დამფუძნებელთა კრების მიერ კანდიდატის გაწევრიანების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კანდიდატთან დაიდება ასოციაციის წევრობის ხელშეკრულება.

კანდიდატი ასოციაციის წევრად მიღებულად ჩაითვლება წევრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტიდან.

6.2 ხელშეკრულებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

6.1 ასოციაციის წევრობის ხელშეკრულება (დანართი 1)
6.2 კანდიდატის მიერ შევსებული განაცხადის ფორმა (დანართი 2)
6.3 კანდიდატის საკუთრებაში არსებული ვენახ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან (დანართი 3)
6.4 კანდიდატის მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან (დანართი 4)

7 მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

	ასოციაცია	წევრობის კანდიდატი
სახელი	ასოციაცია ბუნებრივი ღვინო	
ს.ნ.	416333248	
მისამართი	თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. 16, მე-14 სართული, ოთახი 4.	
საბანკო რეკვიზიტები	ს.ს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE95TB7601236060100001	
უფლებამოსილი წარმომადგენელი	დირექტორი: ზურაბ მღვდლიაშვილი	

ასოციაცია _____ წევრობის კანდიდატი _____